ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის 04 სექტემბრის მორიგი სხდომის

ოქმი # 24

დაბა ხარაგაული

04-სექტემბერი 2017 წელი

****

სხდომას თავმჯდომარეობდა **საკრებულოს** თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ. გოგსაძე, რ. შერგელაშვილი, თ. ავალიშვილი, ა. მაჭავარიანი, ქ. ზუმბაძე, შ. ლურსმანაშვილი, ი. კელენჯერიძე, ბ. ფოცხვერაშვილი, ი. ლურსმანაშვილი, ჯ.გამცემლიძე, ა. ფურცელაძე, მ. ვეფხვაძე, გ. თხელიძე, ვ. ჭიპაშვილი, გ. ხიჯაკაძე, , ვ. ტალახაძე, უ. ბერაძე, ი. მაღრაძე, მ. ტალახაძე, მ.გელაშვილი,დ. ლურსმანაშვილი დ. კიკნაძე, ვ. ბუაჩიძე, ბ. ტალახაძე ნ. ზურაბიანი, ლ. აბაშიძე, მ.ღონღაძე.

სულ 27 წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ზ. ორბელაძე- საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები:

ნ. მაღლაკელიძე - მუნიციპალიტეტი გამგეობის საფინანსო - სახაზინო განყოფილების უფროსი, (ვლადიმერ გელაშვილის ნაცვლად)

მ. ალავიძე- მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

(ჯაბა ბერაძის ნაცვლად)

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

თ. მაღრაძე –ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

მ. ბაბლიძე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და შესთავაზა **წინადადება კენჭი ეყარათ** დღის წესრიგის დამტკიცებისათვის.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

1 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის 2017 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 06 ოქტომბრის # 97 და 2016 წლის 22 დეკემბრის # 50/71 განკარგულების „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. მანანა ბარბაქაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის # 49 დადგენილების „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულებისა და მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. მანანა ბარბაქაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის # 50/43 განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ჯაბა ბერაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის # 50/44 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უზრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ჯაბა ბერაძე

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ საკითხის განხილვის დაწყებამდე, საკრებულოს წევრმა ინგა მაღრაძემ კითხვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი არის მისთვის განსახილველი საკითხები. კითხვაზე საკრებულოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ყველა საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალური არის როგორც მისთვის ისე ზოგადად მუნიციპალიტეტისათვის, რის შემდეგაც ი. მაღრაძემ კვლავ იკითხა, რომ თუ საკითხები მნიშვნელოვანია, მაშინ რატომ არ ხდებოდა საკრებულოს სხდომის ტრანსლიაცია. მ. ბარბაქაძის განმარტებით ი. მაღრაძის თავმჯდომარეობის დროს საკრებულოს სხდომების ტრანსლიაციისათვის გადასაღები აპარატურა მოჰქონდათ ნ. ებანოიძის დროს არსებული მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროდან. მისივე თქმით ხსენებული აპარატი სადღაც გაქრა და მისი შეძენის საშუალება არ არის. აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა საკრებულოს წევრი ფრაქცია „ერთიანი-ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილი რომელმაც განაცხადა, რომ სხდომას არ იღებენ იმის გამო, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრები და მათ შორის თავმჯდომარე მანიპულირებენ ტყუილებით და არ უნდათ გაიგოს სხვამ აქ არსებული ტყუილების კასკადი. აღნიშნული განცხადების გამო თ. ავალიშვილს შეეკამათა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი, რომელთა შორის მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება რა დროსაც თ. ავალიშვილმა მას უწოდა მატყუარა და სახის არეში ჩაარტყა ხელი. ფიზიკური დაპირისპირება აღკვეთილ იქნა საკრებულოს წევრების მიერ. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ თ ავალიშვილმა განაცხადა, რომ არ მისცემდა საკრებულოს სხდომის ჩატარების საშუალებას მანამ, ვიდრე სხდომის თავმჯდომარეობიდან არ გადადგებოდა მანანა ბარბაქაძე, ვინაიდან მისივე განცხადებით მ. ბარბაქაძე შევიდა დებატებში საკრებულოს წევრებს შორის წარმოშობილი კამათის დროს და მას ამის გამო აღარ ჰქონდა უფლება გაძღოლოდა სხდომას.

ვინაიდან, თ. ავალიშვილი, მიუხედავად სხდომის თავმჯდომარის მხრიდან წესრიგისკენ მოწოდებისა და გაფრთხილებისა მაინც განაგრძობდა უწესრიგობას, რომელმაც განსახილველი საკითხის მომხსენებელს არ მისცა ინფორმაციის წარმოდგენის საშუალებას, საკრებულოს სხდომა გადაიდო 30 წუთით. სხდომის განახლების შემდეგ თ. ავალიშვილმა კვლავ დააყენა იგივე მოთხოვნები და ხმამაღალი ყვირილითა და საკრებულოს თავმჯდომარის მიმართ უცენზურო სიტყვების ძახილით არ აძლევდა სხდიმის თავმჯდომარეს სხდომის წარმართვის საშუალებას, ხოლო განსახილველი საკითხის წარმომდგენს ხელს უშლიდა ინფორმაციის წარმოდგენაში. წარმოშობილი უწესრიგობის გამო სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გადადო მეორე დღის 10-საათისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე